დამკვეთი: შ.პ.ს. ,,ახალი თბილისი" (599 50 90 00)

საფუძველი: განცხადება 24.07.13წ. 07/13205208-16

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76ბ. (ნაკვ. №039/033)

საკ.კოდი: №01.14.03.039.033

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 13.02.2013წ. №543432 AR1104999

ფუნქციური დანიშნულება: : მრავალფუნქციური შენობა VI კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (30.07.13) დადგინდა:

ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები. სამანქანოზე დამატებულია გამწოვი მილები.

ფასადი ,,1-3": გაზრდილია გამწვანების გაბარიტი და კიბის საფეხურებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +8.30 ნიშნულზე ,,1-2" მონაკვეთში დამატებულია ლითონის დეტალები.

ფასადი ,,3-1": ,,1-1" ღერძის გარეთ შეცვლილია გარე კიბის გაბარიტი, მასალა, მონაცვლებული აქვს ადგილი და დამატებულია მოაჯირი. -3.30 და ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატები. შემცირებულია საყრდენი კედლის სიმაღლე.

ფასადი ,,ე-ა": გრუნტის ნიშნული არ ემთხვევა საპროექტოს. ±0.00 ნიშნულის ქვევით რიგელები არ არის აღნიშნული პროექტში. ,,ე-ე" ღერძთან შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. ნაწილობრივ არ არის მოწყობილი მინის მოაჯირები. +5.00 ნიშნულიდან +14.90 ნიშნულის ჩათვლით ,,ე-ე" და ,,გ-გ" ღერძებთან შემცირებულია კარების სიგანე 0.2მ-ით.

ფასადი ,,ა-ე": -3.30 ნიშნულზე შეცვლილია ფრამუგის ნახატი. ±0.00 ნიშნულზე ,,გ-ე" მონაკვეთში შემცირებულია ორი ვიტრაჟის სიგანე 0.9მ-ით. ,,დ-ე" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი.

პროექტის ხარვეზი: +11.600 და +14.90 ნიშნულზე ,,2-1" მონაკვეთში ფანჯრის ზომა გეგმის და ფასადის ნახაზებზე არ ემთხვევა ერთმანეთს.

ტერიტორიის მოპირკეთება და საყრდენი კედელი ნაწილობრივ ცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

შეამოწმა: **კ. გიორგობიანმა**